საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №773

თბილისი „31" 12 2018 წ.

„გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 20 დეკემბრის №609 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 26 დეკემბრის N1661595 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 20 დეკემბრის №609 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუქნტით დამტკიცებული პროგრამის მე-5 მუხლს მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „7^1" პუნქტი:

7^1. პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება პროგრამის მე-4 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებზე 2018-2019 სასწავლო წლის პირველი სემესტრისთვის გაიცემა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის და საჭიროების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის შესაბამისად, აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაზარალებული სტუდენტის სწავლის შემთხვევაში, რომლებიც სწავლობდნენ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებმაც დაკარგეს ავტორიზაცია ან დაკარგეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება აკრედიტაციაზე უარის თქმის/აკრედიტაციის გაუქმების გამო და 2018 წლის

შემოდგომის სემესტრის რიგგარეშე მობილობით ჩაირიცხნენ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი